ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №-106

2010 წლის 22 ოქტომბერი
ქ. ქობულეთი

„შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „ქობულეთის წყალი“ დაფუძნების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2009 წლის 8 სექტემბრის №-306 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

„შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „ქობულეთის წყალი“ დაფუძნების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2009 წლის 8 სექტემბრის №-306 ბრძანებით დამტკიცებულ შ.პ.ს. „ქობულეთის წყალი“-ს წესდებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. ა) პირველი მუხლის 1.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“1.1 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქობულეთის წყალი“ (შემდგომში საზოგადოება) დაფუძნებულია ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის, აგრეთვე საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად და ამ წესდების საფუძველზე“.

ბ) მე-4 მუხლის 4.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

4.1

№	პარტნიორის დასახელება	იურიდიული მისამართი
	ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო	ქალაქ ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №-141

გ) მე-5 მუხლის 5.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

5.1 საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენს 200 (ორასი) ლარს ფულადი შენატანით და წარმოადგენს 100 %-იან მუნიციპალურ საკუთრებას.

№	პარტნიორის დასახელება	საწესდებო კაპიტალში შენატანი	ჭილი საწესდებო კაპიტალში %
	ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო	200 ლარი	100

დ) მე-14 მუხლის 14.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“14.2 საზოგადოების ლიკვიდაცია, გარდაქმნა, შერწყმა, გაყოფა ნატურით ხდება კანონმდებლობის შესაბამისად პარტნიორის (დამფუძნებლის) ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილების საფუძველზე.“

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ე. ბაგრატიონი).

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №-30).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ნ. ბერაძე**